

საქართველოს კანონი
საქართველოს საგადასახადო კოდექსში
ცვლილებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს საგადასახადო კოდექსში (საქართველო საკანონმდებლო მაცნე, №41, 30.12.2004.) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება და დამატებები:

1. კოდექსის 230-ე მუხლის პირველი ნაწილის „კ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) საქართველოს საპატრიარქოს მიერ საეკლესიო-სადვთისმსახურო ნივთების (ბარძიმ-ფეშხუმი, ლახვარი, სანაწილე, ოდიკი, გარდამოხსნა, ემბაზი, ანალოლია, შანდალი, ტაკუკი, ვარსკვლავი, საცეცხლური, სასაკმეველე, კიოტი, საეკლესიო ნახშირი, სკვნილი, კვერთხი, პანალია, სუდარა, სანათლავი, კვართი, სარტყელი, საეკლესიო სამშვენისი, ნაკურთხი წყლის, ღვინის, მიწის, ზეთისა და მირონის ჭურჭელი), ხატის, ჯვრის, საეკლესიო სანთლის, საეკლესიო ზარის, სადვთისმსახურო (სარიტუალო) ღვინის, საკმეველის, საკანდელე ზეთის, წმინდა წყლის, სეფისკვერის (სარიტუალო პურის), სასულიერო პირის შესამოსელის, საეკლესიო (სასულიერო) ლიტერატურისა და ამავე დანიშნულების ტელე, კინო, ვიდეო, აუდიო და რადიო პროდუქციისა და სადვთისმსახურო (საეკლესიო) პროდუქციისთვის საჭირო მასალების, აპარატურისა და ნედლეულის მიწოდება ან/და იმპორტი; საქართველოს საპატრიარქოს დაკვეთით ეკლესია-მონასტრებისა და საეკლესიო ნაგებობების მშენებლობა, რესტავრაცია, პროექტირება და მოხატვა, აგრეთვე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან შეთანხმებით კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სარესტავრაციო, სარეაბილიტაციო, საპროექტო და კვლევითი სამუშაოების შესრულება“.

2. 265-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) საქართველოს საპატრიარქოს მიერ საეკლესიო მიზნებისათვის სადვთისმსახურო (სარიტუალო) ღვინის დამზადება და/ან მიწოდება და/ან იმპორტი“.

3. 270⁵-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „რ“ ქვეპუნქტი:

„რ) საქართველოს საპატრიარქოს მიერ სადვთისმსახურო (საეკლესიო) პროდუქციის – საეკლესიო მხატვრობის, საეკლესიო ნივთების (ბარძიმ-ფეშხუმი, ლახვარი, სანაწილე, ოდიკი, გარდამოხსნა, ემბაზი, ანალოლია, შანდალი, ტაკუკი, ვარსკვლავი, საცეცხლური, სასაკმეველე, კიოტი, საეკლესიო ნახშირი, სკვნილი, კვერთხი, პანალია, სუდარა, სანათლავი, კვართი, სარტყელი, საეკლესიო სამშვენისი, ნაკურთხი წყლის, ღვინის, მიწის, ზეთისა და მირონის ჭურჭელი), ხატის, ჯვრის, ზარის ან/და მის დასამზადებლად (ჩამოსახსმელად) საჭირო მასალის, საეკლესიო სანთლის, სადვთისმსახურო (სარიტუალო) ღვინის, საკმეველის, საკანდელე ზეთის, წმინდა წყლის, სეფისკვერის (სარიტუალო პურის), სასულიერო პირის შესამოსელის, სადვთისმეცველო-სადვთისმსახურო და სასულიერო-საგანმანათლებლო ლიტერატურის, ასევე ამ დანიშნულების ტელე, კინო, ვიდეო, აუდიო და რადიო

პროდუქციის და საღვთისმსახურო (საეკლესიო) პროდუქციისათვის საჭირო მასალების, აპარატურისა და ნედლეულის იმპორტი“.

4. 276-ე მუხლის პირველ ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „კ“ ქვეპუნქტი:

„კ) სამოციქულო ავტოკეფალური ეკლესიის საკუთრებაში არსებული ქონება და მიწა, თუ ისინი არ გამოიყენება ეკონომიკური საქმიანობისთვის“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი